

თანამშრომლობის მემორანდუმი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა
და შპს „აჭარგანათება“

ქ. ბათუმი

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ (შემდეგში „ბსუ“), წარმოდგენილი რექტორის ასოც. პროფესორის მერაბ ხალვაშის მიერ და მეორე მხრივ შპს „აჭარგანათება“ ს/კ245546486 (შემდეგში „აჭარგანათება“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნიკოლოზ თოფურაძის მიერ, (შემდეგში „მხარეები“) თანხმდებიან პროფესიულ (მოდულურ) საგანმანათლებლო სფეროში თანამშრომლობის შესახებ შემდეგზე:

მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. „აჭარგანათება“ უზრუნველყოფს პროფესიული მოდულური პროგრამის „ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს-შემკვეთებელი“-ს სტუდენტთა გაცნობითი და საწარმოო პრაქტიკის გავლას. ასევე უზრუნველყოფს მოდულით გათვალისწინებული სხვა საკითხების შესწავლას; პრაქტიკული და ანალიტიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და თეორიული ცოდნის პრაქტიკული საქმიანობით განმტკიცების მიზნით, მხარეებს შორის შეთანხმებული კონტიგენტის ფარგლებში,
2. მხარეები:
 - ა) დარგობრივი კომპეტენციის ჩამოყალიბების მიზნით, მონაწილეობას მიიღებენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და ა. შ.);
 - ბ) დაგეგმავენ და განახორციელებენ ერთობლივ სასწავლო ტრენინგებს, საინფორმაციო შეხვედრებს და სხვა;
 - გ) უზრუნველყოფენ მოდულური პროფესიული პროგრამის „ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს-შემკვეთებელი“-ს ფარგლებში, გაცნობითი და საწარმოო პრაქტიკის დროს სტუდენტებმა ისარგებლონ მოდულით გათვალისწინებული ტექნიკური აღჭურვილობით და სასწავლო რესურსებით.

მემორანდუმის მოქმედების ვადა და მხარეთა რეკვიზიტები

წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერისთანავე და ძალაშია მის გაუქმებამდე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი“

(ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. 35)

მერაბ ხალვაში

რექტორი, ასოცირებული პროფესორი

თარიღი: 18.07.2017

შპს „აჭარგანათება“

ქ. ბათუმი, ოძელაშვილის .20

ნიკოლოზ თოფურაძე

გენერალური დირექტორი

თარიღი: 18.07.2017